ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ორბი

საფუძველი: 12/1321229-16 30.07.2015წ.

მისამართი: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში სტანისლავკის ქუჩის მიმდებარედ

საკ.კოდი: 01.13.06.04.031

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – 01/1194 04.09.2008წ

მშენებლობის სანებართვო მოწმობა – №6/1353-1 04.09.2008წ.

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინაინი საცხოვრებელი სახლი. IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (16.08.13) **დადგინდა:**

ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების, ზოგი კარის და ფანჯრის ნახატები და ასევე გაბარიტი, ზოგ ფანჯარასა და კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. დამატებულია კონდიციონერები, სატელიტური ანტენები, გამაცხელებლები, წყლის და გამწოვი მილები. ზოგიერთი აივნის ფილის გადმოსვლა არ ემთხვევა საპროექტოს, შეცვლილია გაბარიტები და შეცვლილია მოაჯირების ნახატი. შეცვლილია გარე კიბეების ფორმა და საფეხურები, ასევე შეცვლილია ბაქნების ფორმა. ზოგ ღიობზე და აივანზე დამატებულია გისოსები და ასევე ჟალუზები. ზოგ მონაკვეთში რიგელები არ არის ასახული ფასადის ნახაზზე. ზოგიერთ მონაკვეთში კედლების ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს. ზოგ ადგილას დამატებულია საჩრდილობლები.

ფასადი 1-11 ღერძებში: ±0.00 ნიშნულის ქვემოთ მცირე ზომის ღიობების მოწყობა არ ემთხვევა საპროექტოს. ვიტრაჟებში დამატებულია ჟალუზები. +5.30 და +15.20 ნიშნულებზე 4-8 მონაკვეთში ორი აივანი შევსებულია ვიტრაჟით. +25.10 ნიშნულზე 1-3 მონაკვეთში ფანჯრის ღიობებზე დამატებულია საჩრდილობლები. 4-5 მონაკვეთში აივანი შევსებულია ვიტრაჟით. 1-1[1] მონაკვეთში კედლის ფრაგმენტი შესაღებია. +28.40 ნიშნულზე 3-4 მონაკვეთში ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი, შევსებულია ვიტრაჟით და მოწყობილია მოაჯირი. 4-5 და 8-9 მონაკვეთებში დამატებულია ლითონის მოაჯირები. +31.70 ნიშნულზე 2-4 და 9-11 მონაკვეთებში სახურავის გვერდები შემცირებულია.

ფასადი 11-1 ღერძებში: 10-9 და 7-6 მონაკვეთებში ±0.00 დან +28.40 ნიშნულის ჩათვლით სადარბაზოს აივნები ჩამოწეულია და გაზრდილია აივნის მოაჯირის გაბარიტი. +5.30 დან +28.40 ნიშნულის ჩათვლით 3-2 მონაკვეთში აივანზე გაზრდილია დეკორატიული ნიშა. +25.10 ნიშნულზე გაზრდილია ლითონის მოაჯირი. 11-10 მონაკვეთში ფანჯრის და კარის ღიობები გადაადგილებულია. +28.40 ნიშნულზე 11-10 მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. +28.40 ნიშნულზე 3-2 მონაკვეთში გაუქმებულია კარის ღიობი. +31.70 ნიშნულზე 4-4[1] მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია. +28.40 ნიშნულზე 2-1 მონაკვეთში ამოშენებულია კედელი.

ფასადი თ-ა ღერძებში: +5.30 დან +21.80 ნიშნულის ჩათვლით ზ-ვ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ნიშები, ხოლო +5.30 და +8.60 ნიშნუულებზე ორი აივნის ნაცვლად მოწყობილია (ფრანგული) აივნები. +8.60 ნიშნულზე ე-ე ღერძთან აივანზე კედელი გადმოწეულია წინ. +31.70 ნიშნულზე გ-გ ღერძთან დამატებულია ფანჯარა. ა-ა ღერძთან სახურავის ფრაგმენტი შესავსებია თუნუქით. ე-დ მონაკვეთში სეისმურ ნაკერზე დამატებულია თუნუქის ფურცლები.

-3.10 ნიშნულზე ზ-ზ; ვ-ვ; ე-ე; 5-5 და 8-8 ღერძებზე მოწყობილია მონოლითური კედლები. დ-დ ღერძზე 3-4 მონაკვეთში არ არის მოწყობილი მონოლითური კედელი. 6-7 მონაკვეთში გ-გ ღერძზე გაზრდილია მონოლითური კედლის სიგრძე და დაკავშირებულია 6-6 ღერძთან. 1-1 ღერძზე ზ-ზ და ვ-ვ ღერძების კვეთაზე მოწყობილია პილონები. 2-2; ზ-ზ; ვ-ვ და ბ-ბ; 10-10 ღერძების კვეთაზე შეცვლილია კოლონების ფორმა. შენობის მთელ კონტურზე შემცირებულია მონოლითური კედლის გაბარიტი სიგანეში დაახლოებით 0.15 მ-ით. ე-ე და დ-დ ღერძზე გაზრდილია კოლონების გაბარიტი. ე-ე ღერძზე 3-4 მონაკვეთში კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი 4-4 ღერძისკენ. 9-9 და ბ-ბ ღერძების კვეთაზე დამატებით მოწყობილია კოლონა.

შენობის შიგნით დ-გ და 3-11 მონაკვეთში შეცვლილია სამი კიბის კონფიგურაცია. სადარბაზოებში მოწყობილია სართულშუა ბაქანი, საერთო ჯამში ფართი მომატებულია დახლოებით 25 კვ.მ-ით. +25.10 და +28.40 ნიშნულებზე ვ-ე მონაკვეთში 4-4 ღერძთან კედელი გადმოწეულია კონსოლის გარე კონტურამდე. +28.40 ნიშნულზე თ-ზ მონაკვეთში აივანზე კედელი გადმოწეულია 3-3 ღერძისკენ. 6-7 მონაკვეთში აივანზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „ა-ა" ღერძისკენ დაახლოებით 1 მ-ით და გაუქმებულია შუაკედლისი. აღნიშნულ აივანზე 7-7 ღერძთან კარის ღიობის ნაცვლად მოწყობილია ფანჯრის ღიობი.

+31.70 ნიშნულზე ოთხ სადარბაზოში მანსარდის გადახურვის ფილაში მოწყობილია ღიობი. 7-8 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. 2-3 და ზ-ვ მონაკვეთში მოწყობილია კიბის უჯრედი.

სახურავზე შეცვლილია სამერცხლეები და გადახურვის დეტალები.

დ-ა მონაკვეთში მოწყობილი ბლოკი გადახრილია 17 სმ-ით.

პროექტის ხარვეზი: 11-1 ფასადზე: 11-10 მონაკვეთში +5.30 დან +21.80 ნიშნულის ჩათვლით გაზრდილია აივნის გაბარიტი და მოწყობილია გეგმის ნახაზის მიხედვით.

1-11 ფასადზე: +28.40 ნიშნულზე 9-10 მონაკვეთში კედელი გადმოწეულია და შესრულებულია გეგმის ნახაზის მიხედვით.

თ-ა ფასადზე: 28.40 ნიშნულზე ვ-ვ ღერძთან აივანზე არ არის მოწყობილი კედელი, შესრულებულია გეგმის ნახაზის მიხედვით.

ვ. ამისულაშვილი